საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2432-02
03/10/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის
1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 ივნისის N19 და 2016 წლის 27 სექტემბრის N23 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2016 წლის 3 ოქტომბერს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნას **ათინათ მამაცაშვილი-კობახიძე.**
2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშის დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.**
3.უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი